

**კანაფის მყისიერი და ხანგრძლივი გავლენა მისი ხშირად და  
იშვიათიად მომხმარებლების მხედველობით ყურადღებაზე**

**ელენე ქოქრაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე  
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, სრული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2020**

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ქოქრაშვილი, 2020 წელი.

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო კანაფის ხანგრძლივი და ხანმოკლე გავლენის შესწავლა ხშირ და იშვიათ მომხმარებლებში. გვსურდა დაგვედგინა ახდენს თუ არა კანაფის მოხმარება ზეგავლენას მხედველობით ყურადღებაზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 30-მა კანაფის მომხმარებელმა (მათ შორის: 15-ხშირმა და 15 იშვიათად მწეველმა) და 30-მა საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენელმა, არამწეველმა. კვლევაში გამოვიყენეთ: ა) მხედველობითი სტიმულების გარჩევის ტესტი, ბ) შულტეს ცხრილები და არეული ხაზების ტესტი. პროცედურა "ა" ჩატარდა მოვლენასთან დაკავშირებული პოტენციალების (ERP-ს) რეგისტრაციის ფონზე კანაფის მომხმარებლებში ორჯერ - მოწევამდე და მოწევის შემდეგ. საკონტროლო ჯგუფის ERP-იც ორჯერ ჩაიწერა თუმცა მათ შუალედში არ მოუწევიათ კანაფი. პროცედურა "ბ"-ს განმავლობაში ERP არ ჩაწერილა. კანაფის მოწევის შემდეგ ცდის პირებმა უფრო მეტი შეცდომა დაუშვეს არეული ხაზების ტესტში ვიდრე მოწევამდე. კანაფის ხშირ მომხმარებლებს როგორც კანაფის მოწევამდე ასევე მის შემდეგ აღენიშნებოდათ P300-ის ლატენცური დროის მატება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. კანაფის როგორც ხშირ ასევე იშვიათ მომხმარებლებში კანაფის მოწევის შემდეგ შეინიშნა N200-ის ამპლიტუდის კლება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. N200 ასევე დაქვეითებული იყო ხშირ მომხმარებლებში კანაფის მოწევამდე. კვლევის შედეგებმა დაადასტურა კანაფის მოხმარების მყისიერი და ხანგრძლივი ნეგატიური გავლენა მხედველობით ყურადღებაზე.

საძიებო სიტყვები: კანაფი, EEG, ERP.

## ABSTRACT

The aim of the present study was to investigate the long-term and short-term effects of cannabis in frequent and occasional users. Our objective was to determine whether or not cannabis consumption has an immediate and lasting impact on visual attention. The study included 30 cannabis users (including 15 frequent and 15 occasional smokers) as well as 30 nonsmoking controls. Two types of tests were used: *a*) a visual stimulus detection test, *b*) the Schulte table and the tangled lines test. Procedure "*a*" was conducted while recording ERP data. ERP data of cannabis users was recorded twice, once while sober and second time while being under the influence of cannabis. Similarly control group's ERP data was also recorded twice, but without using cannabis. During procedure "*b*" ERP data was not recorded. Cannabis users under the influence made more errors in the tangled lines test than sober cannabis users or control group. Frequent users of cannabis (in both sober and intoxicated states) had increased latency period of P300, compared to the control group. Frequent and occasional cannabis users after smoking, were prone to decreased N200 amplitude compared to the control group. N200 amplitude was also decreased in frequent users before cannabis consumption. The results of the study confirmed the long-term and short-term negative effects of cannabis use on visual attention.

Key words: cannabis, EEG, ERP.

## **განსაკუთრებული მადლობა**

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორ მალხაზ მაყაშვილს, რომელმაც გამიწია დახმარება კვლევის პროცესში, კვლევის სტრუქტურის და თანმიმდევრობის ფორმულირებაში, ასევე მის წარმართვასა და დიზაინში. მადლობას ვუხდით კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრს, თეო გუბიანურს, რომელიც დამეხმარა კვლევის მონაცემების მოპოვებაში და დამუშავებაში. მადლობას ვუხდით კოლეგებს ლუცკის უნივერსიტეტიდან რომლებიც დაგვეხმარნენ მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო პროგრამის ინსტალაციაში და ათვისებაში. ასევე ვუხდით მადლობას ყველა ცდის პირს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ კვლევაში.